

## შავი ზღვის სამეცნიერო ქსელის განახლება

დაწყების თარიღი : 01-01-2009

დასრულების თარიღი: 31-12-2011

### პროექტის აღწერა:

პროექტი „შავი ზღვის სამეცნიერო ქსელების განახლება“ არის გაგრძელება პროექტისა „შავი ზღვის სამეცნიერო ქსელები“, რომელიც მიმდინარეობდა 2005 წ. 1 დეკემბრიდან 2008 წ. 31 იანვრის ჩათვლით. პროექტის ფარგლებში „შავი ზღვის სამეცნიერო ქსელები“ დაფუძნდა შავი ზღვის სამეცნიერო ქსელი, რომელიც მოიცავს შავი ზღვის ქვეყნების გარემოსდაცვით და სოციო-ეკონომიკური პროფილის წამყვან კვლევით ინსტიტუტებს, უნივერსიტეტებს, და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ამავდროულად, ამ პროექტის ფარგლებში, პირველად გავრცელდა ვირტუალური მონაცემები და საინფორმაციო ინფრასტრუქტურა შავი ზღვის შესახებ. ეს ინფრასტრუქტურა შევსებული და ტექნიკურად მხარდაჭერილი იქნა ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციების მიერ და მიზნად ისახავს უზრუნველყოს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, მისი ურთიერთგაცვლა, ხარისხის ინდიკატორისა და შავი ზღვის შესახებ მათი მონაცემებისა და ინფორმაციის გამოყენება.

ახალი პროექტი კვლავ დაფინანსებულია ევროკომისიის სამეცნიერო ინფრასტრუქტურის პროგრამით, კერძოდ ევროკომისიის მეშვიდე ჩარჩო პროგრამით.

### პროექტის შედეგები :

- არსებული სამეცნიერო ინფრასტრუქტურის გაზრდა 19 ახალი საზღვაო გარემოს ინსტიტუტების/ორგანიზაციების ხარჯზე, რაც ერთობლიობაში შეადგენს 52 პარტნიორს;
- ევროკომისიის პროექტში „ზღვის მონაცემთა ქსელი“ განვითარებული სტანდარტებისა და პროგრამული საშუალებების მიღება და გამოყენება, მონაცემთა ცენტრებს შორის ფუნქციური თანხვედრის მისაღწევად;
- მონაცემთა შეგროვებასა და მართვაში მონაწილე აქტიური 41 შავი ზღვის მონაცემთა ცენტრების ქსელში ჩართვა და შავი ზღვის მონაცემთა, მეტა-მონაცემთა და პროდუქტების ინტერაქტიური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მონაცემთა ვიზუალიზაციის და მიმოხილვის ინოვაციური მეთოდოლოგიის განხორციელება.

**მიზნობრივი ტერიტორია :** შავი ზღვის ყველა და ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანა

### ღონისძიებები :

ევროკომისია (EC)

<http://ec.europa.eu/>

### ბიუჯეტი

სრული ბიუჯეტი: 36000 EUR

სრული გრანტი საქართველოსთვის: 36000 EUR